**საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია**

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის**

**დადგენილება №51/2020**
**2020 წლის 13 ნოემბერი**

**ქ. თბილისი**

**საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი (ხარჯთაღრიცხვა) დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 53-ე მუხლის პირველი პუნქტით ცესკოს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმა წარედგინოს არაუგვიანეს 16 ნოემბრისა.

**მუხლი 3**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 53-ე მუხლის მე-2 პუნქტით ცესკოს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის წარდგენილი გეგმის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის განკუთვნილი დაფინანსება გამოიყოს ცესკოს შესაბამის საბიუჯეტო პროგრამულ კოდზე.

**მუხლი 4**

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 5**

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე** **თამარ ჟვანია**
**კომისიის მდივანი** **გიორგი ჯავახიშვილი**

*ცესკოს 2020 წლის 13 ნოემბრის*
*№51/2020 დადგენილების დანართი*

| **პროგრამული კოდი** | **ხარჯთაღრიცხვა** | **სულ (ლარი)** |
|---|---|---|
| **06 04** | საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია | **8,612,110** |
| | ხარჯები | **8,612,110** |
| | შრომის ანაზღაურება | **4,566,700** |
| | საქონელი და მომსახურება | **2,609,790** |
| | სხვა ხარჯები | **1,435,620** |
| **06 04 01** | არჩევნების ჩატარების ღონისძიებები | **8,038,540** |
| | ხარჯები | **8,038,540** |

| | | |
|---|---|---|
| | შრომის ანაზღაურება | **4,527,750** |
| | საქონელი და მომსახურება | **2,543,670** |
| | სხვა ხარჯები | **967,120** |
| **06 04 02** | არჩევნებისთვის მოხელეთა მომზადება-გადამზადება | **105,070** |
| | ხარჯები | **105,070** |
| | შრომის ანაზღაურება | **38,950** |
| | საქონელი და მომსახურება | **66,120** |
| **06 02 04** | საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა დაფინანსება | **468,500** |
| | ხარჯები | **468,500** |
| | სხვა ხარჯები | **468,500** |